



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი N5**

ქ. ლანჩხუთი

28. 03. 2019 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კარლო კვიციანიშვილი, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერის მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის

სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ელიკო იმნაძე, მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** გააკეთა განცხადება, რომ ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა კიდევ ერთი პროექტი და მოუწოდა საკრებულოს წევრებს ზემოხსენებული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგს. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა თუ გაითვალისწინებდნენ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ვერიკო კვირკველიას ბიუროს სხდომაზე გამოთქმულ ინიციატივას რამდენიმე საკითხის კორექტირებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ** განმარტა, რომ უპრიანი იქნებოდა ერთ საკითხად შემოეტანათ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მომზადებული ორი, შინაარსობრივად მსგავსი საკითხი რომელთა სათაურიც არის ზუსტად ერთნაირი-„ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე მხოლოდ ქონების ჩამონათვალი არის განსხვავებული. მისი თქმით, კარგი იქნებოდა თუ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე - საკითხის სათაური იქნებოდა დაკორექტირებული შემდეგნაირად „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

საკრებულოს წევრი **კახაბერ ასკურავა** შემოვიდა წინადადებით, რომ ორი საკითხი:

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.
2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642178) რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

გადმოტანილი ყოფილიყო პირველ და მეორე საკითხად, რადგან ზემოხსენებული სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვაზე იყვნენ მოწვეული, დროულად დაბრუნებულიყვნენ სამსახურში.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის შესწორებული პროექტი:

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642178) რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/*

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ე. იმნაძე/*

6. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/*

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/*

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/*

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/*

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/*

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

14. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის შესწორებულ ვარიანტს:

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **კარლო კვიციანიშვილი**.

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერის მოადგილემ გიორგი ფაცურია. მან აღნიშნა, რომ „საფეხბურთო სკოლა“ იყო დამოუკიდებელი ერთეული, მაგრამ შემდეგ მოხდა მისი სპორტულ ცენტრში გაერთიანება იგივე დაფინანსებით, რაც მას დამოუკიდებლობის დროს ქონდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა მოეხდინა საფეხბურთო სკოლების დაყოფა ოთხ კატეგორიად და იმ შემთხვევაში, თუ საფეხბურთო სკოლა იქნება დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული, მიიღებს დაფინანსებას მინიჭებული კატეგორიის მიხედვით. იმის გამო, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლა“ არ არის დამოუკიდებელი, მინიჭებული აქვს მესამე კატეგორია და დაფინანსდა 15 000 ლარის ოდენობით. ამას ემატება ისიც, რომ სექტემბრის თვეში ლანჩხუთში იხსნება საფეხბურთო აკადემია, რომელსაც ბაზის სახით სჭირდება საფეხბურთო სკოლა. ეს აკადემია აჭარა-გურიაში იქნება ერთადერთი და სასურველი იქნება უმეტესად ლანჩხუთელი კადრებით თუ დაკომპლექტდება.

მერის მოადგილის, **გიორგი ფაცურიას** თქმით, „საფეხბურთო სკოლა“ დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულის სტატუსით მოახერხებს უფრო მეტად განვითარდეს, იქცეს აკადემიის საბაზისო სკოლად და შემდგომში ლანჩხუთის საფეხბურთო კლუბ „გურია“-ს დაეხმაროს ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტებაში. მისი განმარტებით, აღნიშნული საკითხი არის საკრებულოს ინიციატივა, განიხილა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ

საქმეთა კომისიამ, იყო მსჯელობა ბიუროს სხდომაზე და საჭიროა მიღებული იქნეს სწორი გადაწყვეტილება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ „საფეხბურთო სკოლის“ დამოუკიდებლად გამოყოფას მხარი უნდა დაუჭირონ, რადგან ამ საკითხის დადებითად გადაჭრა არ იწვევს ბიუჯეტის ზრდას და კატეგორიის ამაღლებით ფეხბურთის ფედერაციიდან დაფინანსება გაიზრდება ორჯერ და სამჯერ, რაც ხელს შეუწყობს როგორც ფეხბურთის განვითარებას, ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარის, **ლელა ჩახვამის** აზრით საჭიროა ამ საკითხის დადებითად გადაჭრა, რადგან დამოუკიდებლობა ხელს შეუწყობს „საფეხბურთო სკოლის“ სწორი მენეჯმენტით მართვას.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** განმარტა, რომ მას ხმა არ მიუცია „საფეხბურთო სკოლის“ სპორტულ ცენტრში გაერთიანებისთვის, რადგან არასწორად მიიჩნევდა, ხოლო „საფეხბურთო სკოლის“ დამოუკიდებელ სუბიექტად გამოყოფას მიესალმება.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ „საფეხბურთო სკოლის“ გამოყოფა კარგი იქნება იმ კუთხით, თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე აღარ იქნება დამოკიდებული, მაგრამ ამ სკოლაში აღზრდილი ფეხბურთელები კვალიფიკაციით რეალურად უნდა შეესაბამებოდნენ იმ სტანდარტებს, რასაც თანამედროვე ფეხბურთი მოითხოვს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** დაინტერესდა, თუ რა გეგმები აქვს „საფეხბურთო სკოლის“ ხელმძღვანელობას კატეგორიის ასამაღლებლად და მოხმარდება თუ არა ფეხბურთის ფედერაციიდან მიღებული დაფინანსება მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

„საფეხბურთო სკოლის“ მთავარმა სპეციალისტმა, **თემურ ალექსაიამ** განმარტა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, კატეგორიზაციის დებულების თანახმად ითხოვს, რომ საფეხბურთო აკადემია დაკომპლექტდეს A ლიცენზიის მქონე მწვრთნელებით. ამის გათვალისწინებით ფეხბურთის ფედერაციიდან მიღებული დაფინანსება პირვრლ რიგში მოხმარდება მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ხოლო შემდგომში გამოყენებული იქნება სხვა საჭიროებების შესაბამისად.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** გამოთქვა მოსაზრება, რომ გონებრივი წვრთნა (განათლება) კარგია ფიზიკურ წვრთნასთან ერთად. ის მიიჩნევს, რომ მხოლოდ ფეხბურთის აღზევება არ არის საკმარისი და აუცილებელია სპორტის სხვა სახეობებიც განვითაროთ.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი მოვლენა საფეხბურთო აკადემიის გახსნაა ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტში, რადგან აქ დასაქმდება ორმოცამდე ადამიანი სხვადასხვა პოზიციაზე. ამ კუთხით საჭიროა გადამზადდეს როგორც მწვრთნელები, ასევე მასაჟისტები და სხვა სპეციალიტები სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგანაც სასურველია საფეხბურთო აკადემია დაკომპლექტდეს ადგილობრივი კადრებით.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აქვე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას, აუცილებელია ყურადღება მიექცეს სპორტის სხვა სახეობებსაც.

საკრებულოს წევრი **იოსებ ჩხაიძე** დაინტერესდა, თუ რატომ შეჩერდა რაგბის სტადიონის მშენებლობა.

მუნიციპალიტეტის მერის მოედგილემ, **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ უახლოეს პერიოდში უნდა ჩამოვიდეს ამ საქმის ინიციატორი და აუცილებლად განახლდება ამ სტადიონის მშენებლობა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N11 (28.03.2019)**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 433642178) რეორგანიზაციაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე სხდომას გააცნო მერის მოადგილემ **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, იმისათვის რომ „საფეხბურთო სკოლა“ დამოუკიდებელ სუბიექტად ჩამოყალიბდეს საჭიროა მერის თანხმობა „სპორტული ცენტრის“ რეორგანიზაციაზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N 12 (28.03.2019)**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ბიუროს სხდომას გააცნო მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან განმარტა, რომ აღნიშნული პროექტი მოიცავს 521 966 ლარის ფარგლებში ჩასატარებელ შემდეგ სამუშაოებს:

- 1) ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მოეწყობა რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი;
- 2) ქ. ლანჩხუთში, გოგიჩაიშვილის ქუჩაზე მოეწყობა რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი;
- 3) ქ. ლანჩხუთში, ურუშაძის ქუჩაზე მოეწყობა რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი;

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N13 (28.03.2019)**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მისი თქმით, ზემოაღნიშნული დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მიზანშეწონილია შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

1). დადგენილებით დამტკიცებული წესის მე 4- მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის

საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.“

„ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა-განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო



რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან დასკვნა. მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. გადაწყვეტილება მიიღება მერის იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.“

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. განცხადებების განხილვა

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე 4- მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი; მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი; მერიის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით(ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.“

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N14 (28.03.2019)**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ელიკო იმნაძემ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის

უფროსის მ/შ ბუხუტი ბარამიძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გაირკვა, რომ საჭიროა გაიზარდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე (არამუდმივი) ამოცანების შესრულების მიზნით არსებული, შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება ხუთი ერთეულით, (რომელშიც იგულისხმება სპეციალისტი ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი გენდერულ საკითხებში და სპეციალისტი სამედიცინო განათლებით სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურში). „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნების 5%-ს, მაგრამ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დადგენილი შეზღუდვიდან შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - მუნიციპალიტეტის საკრებულოს შეთანხმებით. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** გამოთქვა მოსაზრება, რომ სპეციალისტი სამედიცინო განათლებით სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურში დამხმარე (არამუდმივი) ამოცანების შესრულების მიზნით ნამდვილად შეესაბამება რეალობას, ხოლო სპეციალისტი გენდერულ საკითხებში უნდა იყოს მუდმივი შტატით და საჭიროა გამოცხადდეს კონკურსი.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვიციანიამ** დაადასტურა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ 2017 წლის 29 სექტემბრის დადგენილება N30-ის მიხედვით, მერიის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უზრუნველყოფს მერიის საჯარო მოსამსახურე და ვინაიდან საკრებულოს არსებობის მანძილზე მუდმივად იარსებებს გენდერული თანასწორობის საბჭო, შესაბამისად, ეს შტატი უნდა იყოს მუდმივი. მან მოუწოდა კოლეგებს ამ ეტაპზე მხარი დაუჭირონ აღნიშნული საკითხს და შემდგომში გააგრძელონ მუშაობა ამ საკითხის ირგვლივ, რასაც დაეთანხმა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე **ბესიკ კუპრაძე**.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ აუცილებელია მერიას მიეცეს თანხმობა სპეციალისტის დამატებაზე. პირველ რიგში ყველა თემში, სადაც თითო სპეციალისტია, დაემატოს მეორე, ხოლო შემდგომ თანდათან საჭიროების და საშუალების მიხედვით, სხვა თემებშიც დაემატოს სპეციალისტები. მან აქვე განმარტა, რომ თუ იქნება თანხმობა, აღარ დასჭირდებათ ამ საკითხის კვლავ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გატანა და ზედმეტი პროცედურები.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, რა კრიტერიუმებით შეირჩა ადმინისტრაციული ერთეულები, სადაც საჭიროა სპეციალისტების დამატება.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ადმინისტრაციული ერთეულები სადაც საჭიროა სპეციალისტების დამატება, შერჩეული იქნა ჯერ კიდევ გასულ წელს ამ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების მომართვის საფუძველზე. ამ ეტაპზე შეუძლებელია მეტი სპეციალისტის აყვანა.

საკრებულოს წევრებმა: ელისო ჭიჭინაძემ, გიორგი ჩახვამემ, ალექსანდრე მახათაძემ და სპარტაკ კვაჭაძემ უკმაყოფილება გამოთქვეს იმის თაობაზე, რომ თავიანთ ადმინისტრაციულ ერთეულებშიც საჭიროა სპეციალისტის დამატება და მიუხედავად ამ საკითხის არაერთხელ გაჟღერებისა რეაგირება არ ყოფილა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 15 წევრი, წინააღმდეგი 7 (ელისო ჭიჭინაძე, ალექსანდრე მახათაძე, სპარტაკ კვაჭაძე, გიორგი ჩახვამე, ლელა ჩახვამე, კახაბერ ასკურავა, იოსებ ჩხაიძე).**

**მიღებულ იქნა განკარგულება N 15 (28.03.2019)**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხი:** „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა ვადაჭკორიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილება. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N 6 (28.03.2019)

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა ვადაჭკორიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართეს დაინტერესებულმა პირებმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N126-ში მდებარე ყოფილი სასტუმროს შენობის პირველ სართულზე არსებული N19 (ს/კ 27.06.51.005/01.522) და N20 (ს/კ 27.06.51.005/01.523) ფართობის, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე, აგრეთვე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე, 27.06.51.006 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან გარკვეული ტერიტორიის, ასევე ჩოჩხათსა (ს/კ 27.13. 43.001) და სუფსაში (ს/კ 27.15.52.294) მდებარე არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობიდან კონკრეტული ფართებისა და სარეკლამო ბანერის განთავსებისათვის 27.06.56.017 საკადასტრო კოდზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან, ერთი კვადრატული მეტრი მიწის ფართობის, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებებზე სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოაცხადოს განსაზღვრული ვადით, სასყიდლიანი, პირობიანი ელექტრონული აუქციონი, რისთვისაც საჭიროა, რომ „ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვროს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ზემოაღნიშნული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა გამოთვალა, ქონების ღირებულების საწყისი ფასიდან სხვადასხვა გასაანგარიშებელი კოეფიციენტის ოდენობით, რომელიც გაწერილია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტში. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N16 (28.03.2019)**

**დღის წესრიგის მერვე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა ვადაჭკორიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 15 თებერვალს მიმართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრი“-ს, (ს/კ 433649359) დირექტორმა გოჩა ლომამემ N15 განცხადებით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - (ს/კ 27.06.57.191) (ს/კ 27.06.51.235) სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემა აიპისთვის არის მიზანშეწონილი, რადგან ის შეძლებს მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების უკეთ განხორციელებასა და სხვადასხვა სპორტული სახეობების განვითარებას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, მისი არსებობის ვადით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა განკარგულება N 17 (28.03.2019)**

**დღის წესრიგის მეცხრე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა ვადაჭკორიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას. ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N18 (28.03.2019)**

**დღის წესრიგის მეათე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მისი განმარტებით ზემოაღნიშნულ დადგენილებაში საჭიროა შეტანილი იქნას ცვლილება, კერძოდ:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ: ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 1-ლი მუხლის თანახმად. ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი მე-2 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ: ა) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად; ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად; გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად; დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია III თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად; ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად; გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

4. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება IV თავის შესაბამისად, კერძოდ: ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო მე-10 მუხლის თანახმად; ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება მე-11 მუხლის თანახმად; გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება მე-12 მუხლის თანახმად;

5. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები V თავის შესაბამისად, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები მე-13 მუხლის თანახმად;

6. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები VI თავის მე-14 მუხლის თანახმად.

7. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები VII თავის მე-15 – 24 მუხლების შესაბამისად.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N 7 (28.03.2019)**

**დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა ვადაჭკორიამ. მისი თქმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

მერიას, მიმდინარე წლის 21 თებერვალს მომართა შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს(ს/კ 433649493)დირექტორმა დურმიშხან ჩხაიძემ N5 განცხადებით-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების(ს/კ 27.04.51.329)კლუბისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით,უსასყიდლოდ შპს-სთვის გადაცემა არის მიზანშეწონილი, რადგან ის შეძლებს მისთვის წესდებით დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების უკეთ განხორციელებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ არასამეწარმეო(არაკომერციულ) იურიდიულ პირს, მისი არსებობის ვადით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N 19 (28.03.2019)**

**დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა მომსახურების ცენტრისთვის“, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა ვადაჭკორიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში, მიმდინარე წელს, შემოსულია: ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრი“-ს, (ს/ნ 433649359) ხელმძღვანელობის მომართვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N32-ში მდებარე 337.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული N1, 225.00 კვ.მ. (ჭადრაკის სახლის) შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.52.138) ) აიპისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე, რომელიც მას ესაჭიროება ჭადრაკის სექციის ფუნქციონირებისათვის და ასევე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს (ს/ნ 433649322) დირექტორის დავით წულაძის მოთხოვნა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 7889.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზედ განთავსებული N1 და N2 დანგრეული შენობა-ნაგებობების (ს/კ 27.09.46.282) სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.



ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ აიპიებისთვის გადაცემა არის მიზანშეწონილი, რადგან ისინი შეძლებენ მისთვის წესდებით დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების უკეთ განხორციელებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, მისი არსებობის ვადით.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ასევე არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N 20 (28.03.2019)**

**დღის წესრიგის მეცამეტე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ მოცემულ ნუსხაში ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლებში გარე განათების მოწყობა. ასევე, რიგ სოფლებში მოსაწყობებელია შიდა გზები, შემოსაღობია სასაფლაოები, მოსაწყობია სპორტული მოედნები, გასარემონტებელია ადმინისტრაციული შენობები და ა.შ.

საკრებულოს წევრი იოსებ ჩხაიძე უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ სხდომაზე წარმოდგენილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიწოდებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2019 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა არ არის იდენტური.

საკრებულოს წევრი აკაკი იმნაიშვილი დაინტერესდა რა პრინციპით ხდება თანხის რაოდენობის განსაზღვრა სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში.

მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ განმარტა, რომ ამ პროგრამით გამოყოფილი თანხის რაოდენობა დამოკიდებულია ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების და კომლების რაოდენობაზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.**

მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 21 (28.03.2019)

**სხვადასხვა საკითხები:**

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** ითხოვა დახმარება ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ეტლით მოსარგებლე ბენეფიციართათვის ეტლის მოძიებაზე. იგი აგრეთვე დაინტერესდა როდის იქნება გასტუმრებული საფეხბურთო კლუბი „გურიას“ ფეხბურთელების წინა წლების დავალიანება.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს აქვს პროგრამა, რომლითაც ეხმარება ბენეფიციარებს ეტლის მოძიებაში, ხოლო რაც შეეხება საფეხბურთო კლუბ „გურიას“ დავალიანების გასტუმრებას კლუბის პრეზიდენტი კახა ებრაელიძე 6 აპრილს ჩაატარებს კრებას, სადაც განხილული იქნება აღნიშნული საკითხი.

საკრებულოს წევრმა **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს რეაბილიტირებული წყალმომარაგების სისტემა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ამ სისტემით მოწოდებული წყალი სასმელად უვარგისია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სასმელად ვარგისია მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე მიწოდებული წყალი, ხოლო დანარჩენ ტერიტორიებზე მიეწოდებათ ტექნიკური წყალი.

საკრებულოს წევრმა **ციცინო ჩხაიძემ** ითხოვა მერიის შენობაში „ქალთა ოთახის“ მოწყობა.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე **ლელა ჩახვაძე** უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ მას არ მისცეს საჯარო ინფორმაცია ა(ა)იპ „კეთილმოწყობის და მომსახურების ცენტრში“.

საკრებულოს წევრი **კახა თევდორაძე** უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ სტიქიის სალიკვიდაციო პროგრამაზე მუშაობა დღემდე არ დასრულებულა. მისი თქმით, უმჯობესია პროექტები მომზადდეს ყველა ადმინისტრაციული ერთეულისთვის ცალკე-ცალკე.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახური ამ ეტაპზე მუშაობს სოფლის პროგრამებზე და ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ გააგრძელებენ სტიქიის პროგრამაზე მუშაობას.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ გრიგოლეთის სანაპირო ზოლში (რეკრიაციულ ზონაში) მოჭრილია ათობით ხე და

სანაპიროზე დატოვებულია მძიმე ტექნიკის გადაადგილების კვალი. ის მერიიდან ითხოვს პასუხს, რამდენად კანონიერია აღნიშნული ქმედება და აგრეთვე ელოდება მერის წლიური ანგარიშის წარდგენას.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნული ტერიტორია დაახლოებით ათი წელია გასხვისებულია და მისი მესაკუთრე არის ვინმე ბაღდავაძე. აღნიშნული ტერიტორია არ არის რეკრიაციული ზონა და ამ ეტაპისთვის დასუფთავებულია. ხოლო რაც შეეხება წლიურ ანგარიშს, აპრილის ბოლოს წარადგენს.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ მან დააგვიანა ანგარიშის წარდგენა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ის იცნობს ამ პრობლემას და ყველა ღონეს იხმარს მის გამოსასწორებლად.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

